



Tbilisi Open Teaching University

დამტკიცებულია
აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის
2018 წლის 22 იანვრის №77 დადგენილებით

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის დებულება

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. სკოლის სტატუსი

1.1 თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) მედიცინის სკოლა (შემდგომში „სკოლა“) წარმოადგენს უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას;

1.2 სკოლა მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმებების, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის დებულების, მედიცინის სკოლის დებულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

1.3 სკოლა არ არის იურიდიული პირი;

მუხლი 2. დებულების რეგულირების სფერო

2.1 წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სკოლის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას, არეგულირებს სკოლის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურას, მართვის ორგანოებსა და პერსონალს, მათი დანიშვნისა/ან არჩევის წესსა და უფლებამოვალეობებს, მართვის პრინციპებს, ასევე სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს;

2.2 სკოლის დებულება შესასრულებლად სავალდებულოა სკოლის ყველა სტრუქტურული ერთეულის, პერსონალისა და სტუდენტისათვის.

მუხლი 3. სკოლის მისია

3.1. სკოლის მისიაა სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებითა და სამეცნიერო კვლევისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნით, მოამზადოს შრომის ბაზარზე კონკურენტუარიანი და კვალიფიციური მედიკოსები.

3.2. სკოლის მისიაა თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარჩვევების განვითარებით სტუდენტს მისცეს საერთაშორისო შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციების შესაბამისი განათლება.

3.3. სკოლის მისიაა ხელი შეუწყოს მულტიკულტურული და დემოკრატიული კლიმატის შექმნით, მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების მქონე პიროვნების ჩამოყალიბებას.

3.4. ხელი შეუწყოს სტუდენტთა ზრდის პერსპექტივის შექმნას, მათი პიროვნული და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებას საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობის გაფართოებისა და მიზნობრივი სასწავლო-სამეცნიერო და დამატებითი აქტივობების განხორციელების გზით.

3.5. სკოლა საკუთარ მისიას განახორციელებს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით:

3.5.1. ღიაობა - სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციის ღიაობა ახალი იდეების, ინოვაციებისა და ცვლილებებისათვის;

3.5.2. ჩართულობა - გადაწყვეტილებების მიღება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მაქსიმალური ჩართულობითა და მონაწილეობით;

3.5.3. ინტერნაციონალიზაცია - უმაღლესი განათლების საერთაშორისო სტანდარტებზე ორიენტირება და თანამშრომლობა.

3.5.4. პროგრესულობა - თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მიდგომების დანერგვა სწავლის, კვლევისა და ორგანიზაციული განვითარების სფეროში.

მუხლი 4 . სკოლის ძირითადი მიზნები:

4.1. სტუდენტებისა და სკოლის აკადემიური პერსონალისთვის სათანადო პირობების შექმნა სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევებისათვის; თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, მომავალზე ორიენტირებული სამედიცინო განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, სასწავლო, სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობისათვის პირობების გაუმჯობესებაზე მუდმივად ზრუნვა;

4.2. საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ჰარმონიზაცია, ხელს უწყობს უცხოეთის მოწინავე საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორული ურთიერთობების განვითარებას და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილობას; ამკვიდრებს ზოგადსაკაცობრიო პრინციპებს, ფასეულობებს და ღირებულებებს, იღებს ზომებს საზოგადოების დემოკრატიის, სამართლიანობის და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაციისათვის რაც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;

მუხლი 5. სკოლის სტრატეგია:

5.1. იყოს ორიენტირებული იმ მოთხოვნებისა და გამოწვევების დაკმაყოფილებაზე, რომელსაც ცვალებადი გარემო უყენებს ქართულ/ საერთაშორისო საჯარო და კერძო სექტორს;

5.2. გახდეს ერთ-ერთი ყველაზე კონკურენტუნარიანი სკოლა თავის სფეროში არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რეგიონის მასშტაბითაც.

მუხლი 6. სკოლის ამოცანები

6.1 სკოლის ამოცანებია:

6.1.1 მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება;

6.1.2 განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაცია და მობილობის გაფართოება;

6.1.3 სტუდენტებისათვის თეორიული ცოდნის მიცემა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება, რაც აუცილებელია ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გასაგრძელებლად ან პროფესიული კარიერის დასაწყებად;

თავი II. სკოლის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 7. სკოლის სტრუქტურა

7.1 სკოლის სტრუქტურა განისაზღვრება წინამდებარე დებულებით, რომელსაც სკოლის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატი. სკოლის სტრუქტურა შეიძლება შედგებოდეს: სკოლის მართვის ორგანოების, სასკოლო მნიშვნელობის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი ძირითად ერთეულების და სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისგან;

7.2 სკოლის მართვის ორგანოებია: სკოლის საბჭო, სკოლის დეკანი.

7.3 სასკოლო მნიშვნელობის ახალი ერთეულების შექმნის ან არსებული ერთეულების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას შეიმუშავებს სკოლის საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ და წარმომადგენლობით სენატს;

თავი III. სკოლის საბჭო და მისი უფლებამოსილება

მუხლი 8. სკოლის საბჭო

8.1 მედიცინის სკოლის საბჭო (შემდგომში: “სკოლის საბჭო”) სკოლის წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც ახორციელებს სკოლის მართვას;

8.2. სკოლის საბჭოს თავმჯდომარეობს დეკანი.

8.3. სკოლის საბჭოს შემადგენლობაში შედიან სკოლის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი, სამეცნიერო პერსონალი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

8.4. სკოლის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.

8.5 სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების სკოლის საბჭოში შეყვანის პროცედურა: სკოლის დეკანის მიმართვის საფუძველზე სტუდენტური თვითმმართველობა მიავლენს შერჩეულ წარმომადგენლებს სკოლის საბჭოში. ამ დებულების მე-8 მუხლის 8.4 პუნქტით განსაზღვრული რაოდენობით.

მუხლი 9. სკოლის საბჭოს უფლებამოსილებები

9.1 სკოლის საბჭო განსაზღვრავს სკოლის საქმიანობის ძირითად მიზნებს და ამოცანებს;

9.2 სკოლის საბჭო შეიმუშავებს წინადადებებს სკოლის აუცილებელ ხარჯებთან დაკავშირებით და წარუდგენს უნივერსიტეტის მმართველობით საბჭოს;

9.3 სკოლის საბჭო განიხილავს და უნივერსიტეტის აკადემიურ და წარმომადგენლობით სენატს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის საგანმანათლებლო პროგრამებს;

9.4 დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს სკოლის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ და წარმომადგენლობით სენატს;

9.5 სკოლის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ანიჭებს შესაბამის კვალიფიკაციას.

9.6 უნივერსიტეტის აკადემიურ და წარმომადგენლობით სენატს წარუდგენს კანდიდატს თოუ-ს საპატიო დოქტორის/პროფესორის წოდების მისანიჭებლად;

9.7 ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის დებულებისა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას;

მუხლი 10. სკოლის საბჭოს მდივანი

10.1 სკოლის საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას და საქმის წარმოებას ახორციელებს სკოლის საბჭოს მდივანი, რომელიც აირჩევა სკოლის აკადემიური პერსონალიდან, დეკანის წარდგინებით, ღია კენჭისყრით, სკოლის საბჭოს პირველ სხდომაზე ;

10.2 სკოლის საბჭოს მდივანი:

10.2.1 უზრუნველყოფს სკოლის საბჭოს სახელზე შემოსული წერილებისა და დოკუმენტების აღრიცხვა-შენახვას;

10.2.2 ამზადებს წერილებისა და საბჭოზე განსახილველი საკითხების პროექტებს;

10.2.3 ამზადებს სკოლის საბჭოს სხდომებს;

10.2.4 უზრუნველყოფს დოკუმენტების გამრავლებას;

10.2.5 აწარმოებს საბჭოს სხდომის ოქმს.

მუხლი 11. სკოლის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

11.1 სკოლის საბჭოს წევრს უფლებამოსილება შეუწყდება:

11.1.1 უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლების ან სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისას;

11.1.2 სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ ან გარდაცვლილად ცნობის შემთხვევაში;

11.1.3 მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში;

11.1.4 სკოლის საბჭოში სტუდენტთა თვითმართველობის წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, სტუდენტური თვითმართველობა მოავლენს ახალ წარმომადგენელს არაუგვიანეს ერთი თვისა უფლებამოსილების შეწყვეტიდან;

მუხლი 12. სკოლის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერება

12.1 სკოლის საბჭოს წევრს უფლებამოსილება შეუჩერდება:

12.1.1 ერთ თვეზე მეტი ხნით ავადმყოფობის ან შვებულებაში გასვლის შემთხვევაში, თუ მოკლებულია სკოლის საბჭოს სხდომებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას;

12.1.2 ერთ თვეზე მეტი ხნით სასწავლო ან სამეცნიერო მივლინებაში ყოფნისას ან სხვა გარემოების არსებობისას, რაც შეუძლებელს ხდის მის მონაწილეობას საბჭოს სხდომებში;

12.1.3 სკოლის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის საბჭო;

მუხლი 13. სხდომების ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

- 13.1 სკოლის საბჭოს პირველი სხდომა იმართება სკოლის საბჭოს ფორმირებიდან არაუგვიანეს 1 თვისა.
- 13.2 სკოლის საბჭო პირველ სხდომაზე ცნობს თავის უფლებამოსილებას და აირჩევს მდივანს;
- 13.3 სკოლის საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ ორ სემესტრში ერთხელ;
- 13.4 სკოლის საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს სკოლის დეკანი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – დეკანის მოადგილე;
- 13.5 სკოლის საბჭოს სხდომებს ესწრებიან სკოლის საბჭოს წევრები;
- 13.6 სკოლის დამხმარე პერსონალს უფლება აქვს დაესწროს სკოლის საბჭოს სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით. სხვა, დაინტერესებულ პირთა მხრიდან სკოლის საბჭოს სხდომაზე დასწრების სურვილის შემთხვევაში, MAმათი დაშვების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის საბჭო;
- 13.7 სკოლის საბჭოს სხდომა გადაწყვეტილება უნარიანია, თუ მასში მონაწილეობს სკოლის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა;
- 13.8 თუ წინამდებარე დებულებით სხვა წესი არ არის დადგენილი, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით;
- 13.9 სკოლის საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. ფარული კენჭისყრის ჩატარების საკითხს წინასწარ წყვეტს დეკანი;

მუხლი 14. სკოლის საბჭოს სხდომის ოქმი

- 14.1 სკოლის საბჭოს წევრთაA შეკრებისა და სხდომის ჩატარების, აგრეთვე, გადაწყვეტილების მიღების ფაქტზე დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სკოლის დეკანი (მისი არყოფნის შემთხვევაში - დეკანის მოადგილე) და მდივანი;
- 14.2 სკოლის საბჭოს სხდომების ოქმები ინახება სკოლის დეკანის მიერ არანაკლებ 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს.

თავი IV სკოლის დეკანი და მისი უფლებამოსილება

მუხლი 15.სკოლის დეკანი. სკოლას ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობებში წარმოადგენს სკოლის დეკანი;

15.1 სკოლის დეკანს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტთან შეთანხმებით;

მუხლი 16. დეკანის უფლებამოსილებები

16.1 სკოლის დეკანი უზრუნველყოფს სკოლაში სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობას;

16.2 სკოლის საბჭოს განსახილველად წარუდგენს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს, წელიწადში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ.

16.3 შეიმუშავებს და სკოლის საბჭოს განსახილველად წარუდგენს სკოლის სტრუქტურასა და დებულებას;

16.4 თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი მოთხოვნების, აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

16.5 თავმჯდომარეობს სკოლის საბჭოს სხდომებს;

16.6 განსაზღვრავს სკოლის საკომუნიკაციო პოლიტიკას;

16.7 წარმართავს და ახორციელებს ურთიერთობებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, პასუხისმგებელია სკოლის იმიჯზე, შიდა და გარე კომუნიკაციებზე;

16.8 წარმართავს სასკოლო, მათ შორის, საპრეზენტაციო ღონისძიებებს;

16.9 განიხილავს და რექტორს და მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტს წარუდგენს წინადადებებს სკოლის საბჭოში შემოსულ განცხადებებზე, პრეტენზიებსა და საჩივრებზე;

16.10 ზედამხედველობს სკოლაში დასაქმებულთა მიერ უფლებამოსილებების განხორციელებას, ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულებასა და უნივერსიტეტის შინაგანაწესის დაცვას;

16.11 უშუალოდ ხელმძღვანელობს სკოლის დამხმარე პერსონალის საქმიანობას;

16.12 თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შეუძლია დააყენოს საკითხი დასაქმებულთა წახალისების და პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

16.13 ამზადებს მობილობის დასკვნებს (შიდა და გარე)

16.14 ახორციელებს დატვირთვების განაწილებას

16.15 ახორციელებს სასწავლო ხელშეკრულებების მომზადებას

16.16. ახორციელებს სტატუსის აღდგენებზე დასკვნების მომზადებას

16.17. პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მაღალხარისხიან წარმართვაზე

16.18 გასცემს ცნობებს/დახასიათებებს/მიმართვებს.

16.19. სკოლის საბჭოს წელიწადში ერთხელ განსახილველად წარუდგენს ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ.

16.20. თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის დებულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 17. სკოლის დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

17.1 სკოლის დეკანის უფლებამოსილება წყდება:

17.1.1 პირადი განცხადების საფუძველზე;

17.1.2 სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ ან გარდაცვლილად ცნობის შემთხვევაში;

17.1.3 საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის დებულებით დადგენილ საფუძველზე;

მუხლი 18. დეკანის მოადგილე.

18.1 თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი მოთხოვნების და აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

18.2 ორგანიზებას უწევს სასკოლო, მათ შორის, საპრეზენტაციო ღონისძიებებს;

18.3 მეთვალყურეობს სკოლაში დასაქმებულთა მიერ უფლებამოსილებების განხორციელებას, ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულებასა და უნივერსიტეტის შინაგანაწესის დაცვას;

18.4 ახორციელებს სკოლაში განცხადებით შემოსულ პირთა მიღებას;

18.5 ახორციელებს ლექტორების მონიტორინგს (ლექტორის მიერ სასწავლო კვირაში ფაქტობრივად ჩატარებული საათობრივი დატვირთვის ასახვა)

18.6 ახორციელებს უწყისების მონიტორინგს.

18.7 თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის დებულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას.

18.8 დეკანის მოადგილე ხელმძღვანელობს სკოლის საქმიანობას და კოორდინაციას უწევს სტრუქტურული ერთეულების ურთიერთობებს დეკანის არყოფნის დროს

18.9 სკოლის დეკანის მოადგილეს, დეკანის წარდგინებით, ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით;

თავი V. სკოლის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი

მუხლი 19. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მოვალეობები:

19.1 ახდენს სასწავლო პროცესის განხორციელების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას: ახორციელებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს და შემოწმების პროცესში გამოვლენილი დარღვევების დასაფიქსირებლად ადგენს შესაბამის დოკუმენტს; მონიტორინგის განხორციელებისას მოპოვებულ მასალებს წარუდგენს რექტორს, დეკანს და დეკანის მოადგილეს შემდგომი რეაგირების მიზნით;

19.2 უზრუნველყოფს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ სტუდენტთა ადმინისტრაციულ რეგისტრაციას და სტუდენტთა მონაცემთა ბაზაში (რეესტრი) მათ დაფიქსირებას.

19.3 აწარმოებს უნივერსიტეტის სტუდენტების მონაცემთა ბაზას და პასუხისმგებელია ამ ბაზის განახლებაზე სკოლის კომპეტენციის ფარგლებში;

19.4 უზრუნველყოფს სტუდენტთა პირადი საქმის წარმოებას;

19.5 ამზადებს ყველანაირ ცნობას (გარდა ფორმა N26-ისა);

19.6 მონაწილეობს შშმ/სსმ სტუდენტების სასწავლო პროცესში ადაპტირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებში;

19.7 მონაწილეობს სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის პროცესში.

19.8 ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში და სემესტრის განმავლობაში ახორციელებს სტუდენტთა ფინანსური ვალდებულებების შესრულების კონტროლს;

19.9 ახორციელებს მონიტორინგს სტუდენტთა შუალედური და დასკვნითი/დამატებითი გამოცდების შედეგების აღრიცხვაზე;

19.10 ახორციელებს სტუდენტთა დასწრების მონიტორინგს;

19.11. ახორციელებს საგამოცდო მასალების მოგროვებას, გადამუშავებას და გამრავლებას;

19.12 სკოლის სტუდენტებთან აქვს კომუნიკაცია მათი სასწავლო პროცესსა და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართვის მიზნით:

ა) ახდენს სტუდენტების კონსულტირებას სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე

ბ) ახდენს სტუდენტების ინფორმირებას სასწავლო ცხრილში შეტანილი ცვლილებების, დაგეგმილი ლექცია-პრაქტიკული მეცადინეობის შესაძლო გაცდენა /აღდგენის შესახებ;

გ) ახდენს სტუდენტების ინფორმირებას აკადემიური კალენდრით განსაზღვრული აქტივობების შესახებ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირების შესახებ, თავისუფალი კომპონენტის და/ ან დამატებითი სპეციალობის არჩევის შესახებ.

19.13 ახორციელებს თითოეული სტუდენტის აკადემიური მდგომარეობის შესწავლას (თვალყურის მიდევნება აგროვებს თუ არა სტუდენტი სავალდებულო კრედიტების რაოდენობას, გააფორმა თუ არა სასწავლო ხელშეკრულება და ა. შ).

19.14 მონაწილეობს სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის პროცესში და ეხმარება მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს ადაპტაციასა და სასწავლო პროცესში სრულფასოვნად ჩართვაში ;

19.15 ახორციელებს პროფესორთა კონსულტაციების მონიტორინგს.

19.16 ასრულებს უნივერსიტეტის რექტორის და დეკანის დავალებებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

თავი VI. სკოლის აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი

მუხლი 19. სკოლის პერსონალი

19.1 სკოლის პერსონალი შედგება აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისაგან;

მუხლი 20. აკადემიური პერსონალი

20.1 სკოლის აკადემიური პერსონალს მიეკუთვნება: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი; ასისტენტი .

20.2 აკადემიური პერსონალი მონაწილეობს ან/და წარმართავს სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს;

20.3 აკადემიური პერსონალის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატი;

20.4 აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესით განსაზღვრული ვადით;

20.5 აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი და პირობები, თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები, ასევე აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონით, სხვა ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის მართვის ორგანოების ფორმირების წესით, პერსონალის მართვის

წესით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით, შრომითი ხელშეკრულებით და სხვა აქტებით;

მუხლი 21. სამეცნიერო პერსონალი

21.1 სკოლის სამეცნიერო პერსონალია მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი და მეცნიერი თანამშრომელი.

21.2 სამეცნიერო პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესით განსაზღვრული ვადით;

21.3 სამეცნიერო პერსონალი განახორციელებს სამეცნიერო კვლევებს და შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებაში;

21.4 სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი და პირობები, თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები, ასევე სამეცნიერო პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით, შრომითი ხელშეკრულებით და სხვა აქტებით;

მუხლი 22. ადმინისტრაციული პერსონალი

22.1 სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნება დეკანი.

22.2 ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების წესები და პირობები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით და უნივერსიტეტის დებულებით, უნივერსიტეტის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით;

22.3 სკოლის ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე გათავისუფლების საფუძვლებია:

22.3.1 პირადი სურვილი;

22.3.2 სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

22.3.3 გარდაცვალება;

22.3.4 სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;

22.3.5 კანონმდებლობით და უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი სხვა საფუძვლებით.

მუხლი 23. დამხმარე პერსონალი

23.1 დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება დეკანის მოადგილე და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი.

თავი VII. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტი

მუხლი 24. სტუდენტი

24.1 სასწავლო უნივერსიტეტის სკოლის სტუდენტი (შემდგომში სტუდენტი) არის პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა, უნივერსიტეტის დებულებითა და სხვა აქტებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტში მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის გასავლელად;

24.2 სტუდენტის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება უნივერსიტეტის დებულებით, უნივერსიტეტის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით;

თავი VIII. სკოლის ბიუჯეტი და ფინანსები

მუხლი 25. სკოლის ბიუჯეტი

25.1 სკოლის ბიუჯეტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს;

25.2 უნივერსიტეტის დებულებით და წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით, სკოლა მონაწილეობს უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტის შემუშავების პროცესში;

მუხლი 26. სკოლის ფინანსები

26.1 სკოლა მის მიერ მოზიდული ფინანსებისა და მის სარგებლობაში არსებულ ქონებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს ათანხმებს უნივერსიტეტის მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტთან.

თავი IX. სკოლის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

მუხლი 27. სკოლის სტრუქტურასა და დებულებას შეიმუშავებს სკოლის საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატი;

27.1 სკოლის წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და უნივერსიტეტის დებულებით.

თავი X. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 28. დებულების მიღება და ამოქმედება

28.1 დებულება ძალაში შედის უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის მიერ დამტკიცებისთანავე.